# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 23 **ივნისი,** 2014 წ.

**ერთი მხრივ,** სსიპ — სოციალური მომსახურების სააგენტო, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გაიოზ თალაკვაძის** სახით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ—სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და **მეორე მხრივ,** სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის **გიორგი არსოშვილის** სახით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის N903 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში (შემდგომში – მხარეები), ვადასტურებთ რა დანაშაულის პრევენციის მიზნის პრიორიტეტულობას, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობით ხელი შევუწყოთ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

## მუხლი 1. მიზანი

მემორანდუმის მიზანია მსჯავრდებულთა (პირობით მსჯავრდებულთა, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ მსჯავრდებულთა) რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის კუთხით, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარებისათვის ხელისშეწყობა.

## მუხლი 2. საგანი

მემორანდუმის რეგულირების საგანს წარმოადგენს:

2.1. მსჯავრდებულის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;

2.2. მსჯავრდებულის მოკლევადიანი და შესაძლებლობების ფარგლებში გრძელვადიანი დასაქმების გამოცდილებით უზრუნველყოფა;

2.3. მსჯავრდებულთა დასაქმების უნარ-ჩვევების სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) სოციალურ მუშაკთა გადამზადება.

## მუხლი 3. თანამშრომლობის პრინციპები და ფორმები

მხარეებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპს.

## მუხლი 4. მხარეთა მოვალეობები

**4.1. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო იღებს ვალდებულებას:**

4.1.1. შესაძლებლობების ფარგლებში, დასაქმების ელექტრონულ პორტალზე (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული მსჯავრდებულები ჩართოს მოკლევადიან ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში და/ან დამსაქმებელთან შეთანხმებით შესთავაზოს მუდმივი სამუშაო;

4.1.2. მსჯავრდებულთა სურვილის შემთხვევაში გაუწიოს მათ დახმარება www.worknet.gov.ge–ს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის პროცესში;

4.1.3. უზრუნველყოს დასაქმებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების სასწავლო–საკონსულტაციო მომსახურების გაწევა მსჯავრდებულთათვის;

4.1.4. უზრუნველყოს მსჯავრდებულების ჩართვა პროფესიული სწავლების პროგრამაში;

4.1.5. გადაამზადოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები „დასაქმებისათვის მომზადების ტრენერთა ტრენინგის“ კურსებზე;

4.1.6. მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოყოს საკონტაქტო პირი.

**4.2 . პრობაციის ეროვნული სააგენტო იღებს ვალდებულებას:**

4.2.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკის მეშვეობით, უზრუნველყოს მსჯავრდებულის სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის რაიონულ ოფისებში ვიზიტს, შემდგომი www.worknet.gov.ge–ს ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირების მიზნით;

4.2.2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მეშვეობით, უზრუნველყოს მსჯავრდებულის დასაქმებისა და პროფესიული სწავლების ინტერესთა და შესაძლებლობათა გამოკვეთა;

4.2.3. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მეშვეობით, უზრუნველ–ყოს მსჯავრდებულის დაკავშირება სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთან, მისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, შემდგომი დასაქმებისა თუ პროფესიული სწავლების კურსის გავლის მიზნით;

4.2.4. უზრუნველყოს მსჯავრდებულის მონიტორინგი უშუალო დამსაქმებელსა და პრო–ფესიული სწავლების დაწესებულების წარმომადგენელთან ინტენსიური თანამ–შრომლობით;

4.2.5. მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოყოს საკონტაქტო პირი.

## მუხლი 5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების  შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

## მუხლი 6. სხვა დებულებანი

6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი ფორმით მემორანდუმის შეწყვეტის მოთხოვნამდე.

6.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი;

6.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

## 7. მხარეთა რეკვიზიტები

**სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო**

მის: აკ. წერეთლის გამზ. N144

საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

ტელ: (+995 322) 35 78 80 (0405)

ელ. ფოსტა: worknet@ssa.gov.ge

ვებ-გვერდი: www.ssa.gov.ge

**გაიოზ თალაკვაძე**

_____

**სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო**

მის.: სანდრო ეულის ქუჩა №3

0186 ქ.თბილისი, 0181, საქართველო

ტელ.: (+99532) 927224

ელ. ფოსტა: info@probation.gov.ge

ვებ-გვერდი: www.probation.ge

**გიორგი არსოშვილი**

_____